ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო
საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი №1

(კომისიებთან გაერთიანებული)

7 დეკემბერი 2021 წ. ქ.თბილისი. თავისუფლების მოედანი №2

12:00 სთ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი ხელაძე

კომისიის წევრები: ოთარ გრიგოლია, ლევან დავითაშვილი, ლევან ჟორჟოლიანი, ლევან არველაძე, გურამ ოქროპირიძე.
სხდომას ასევე ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გიორგი ტყემალაძე, გიორგი ახვლედიანი, თინათინ ნიბლოშვილი, ზურაბ აბაშიძე, კონსტანტინე ზარნაძე, ავთანდილ ცინცაძე,ნინო რუხაძე, გიორგი ჩაკვეტაძე, ნიკოლოზ კახეთელიძე,ვლადიმერ ბოჟაძე,ლევან ჯაფარიძე,ზურაბ ჩიკვილაძე, რევაზ სოხაძე, ნინო ვარდოსანიძე,კახაბერ ლაბუჩიძე, შალვა ობგაიძე, გივი ჩხარტიშვილი, ალექსანდრე ხუჯაძე, გიორგი შარაშიძე, ალექსანდრე რატიშვილი,საბა ბუაძე,ლევან აბაშიძე.

მოწვეული სტუმრები:

ირაკლი ხმალაძე-ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილედ(ვიცე-მერი)წარდგენილი კანდიდატი.
ილია ელოშვილი- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილედ წარდგენილი კანდიდატი.
ირაკლი ბენდელიანი-ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილედ წარდგენილი კანდიდატი.
ანდრია ბასილაია- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილედ წარდგენილი კანდიდატი.
ვლადიმერ ჭიღლაძე- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (ადმინისტრაციის უფროსი) თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატი.
სერგო ბირკაძე- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატი.
გაიოზ თალაკვაძე- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის პირველადი პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატი.
გიგა გიგაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატი.
ვახტანგ ლომჯარია - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატი.

კახაბერ გულედანი- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (მუნიციპალური ინსპექციის უფროსი) თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატი.
გიორგი აბუთიძე- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატი.
ირაკლი გვილავა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატი.
გიორგი პაპავა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატი.
გელა ჩივიაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატი.
ნიკოლოზ ჭონქაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატი.
დავით უთმელიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატი.
ვლადიმერ ძნელაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატი.
ლევან ნაროუშვილი- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატი.
დავით კვინიკაძე- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატი.
ნიკა ელისაშვილი- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატი.
ბექა მიქაუტაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატი.
დავით კირკიტაძე- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატი.
ირაკლი ანდღულაძე- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ნაძალადევის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატი.
გაიოზ ვასაძე- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბურთალოს რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატი.
კახა სამხარაძე- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატი.
მასობრივი მედიიდ წარმომადგენლები.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა ირაკლი ხელაძე.

დღის წესრიგი:

ქ,თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერი) და მერის მოადგილეების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საქალაქო სამსახურების უფროსების და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონების გამგებლების თანამდებობებზე წარდგენილი კანდიდატების დანშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ გაკარგულებოს პროექტების (25 განკარგულების პროექტი) შესახებ.

(#01-01213403028 : 06/12/2021 საკრ.#12-032134034-03)

დღის წესრიგი დამტკიცდა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი წარმოადგინა ლევან ჟორჯოლიანმა.

მან აღნიშნა, რომ დედაქალაქის მერის მიერ წარმოდგენილი მთავრობის შემადგენლობის დიდ ნაწილთან, საკრებულოს გასული 4 წლის განმავლობაში აქტიური და ნაყოფიერი მუშაობა აკავშირებს. მადლობა გადაუხადა მერიას თანამშრომლობისათვის და წარმატებები უსურვა მომავალ მთავრობას.

ქ,თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერი) და მერის მოადგილეების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საქალაქო სამსახურების უფროსების და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონების გამგებლების თანამდებობებზე წარდგენილი კანდიდატების გაცნობის შემდეგ სხდომა გაგრძელდა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

შეკითხვები დასვეს:

რევაზ სოხაძემ- საჯარო რეესტრში ფუნქციური ცვლილებების ასახვის,მიწების მიტაცებისა და უკანონო მშენებლობების საკითხებთან დაკავშირებით.

ირაკლი ხელაძემ- ნაძალადევის რაიონში ავარიული შენობების ჩანაცვლების პროგრამის, ქუჩების სარეაბილიტაციო პროექტების, თემქის ხევში საქალაქო მნიშვნელობის პარკის მშენებლობის პროექტის შესახებ. ასევე ნაძალადევის რაიონის მოსახლეობისათვის მნიშვნელოვან სხვა საკითხებთან დაკავშირებით.

შალვა ობგაიძემ- სატრანსპორტო პოლიტიკასთან, ახალი 18 მეტრიანი ავტობუსების შესყიდვასა და საბაგირო პროექტებთან დაკავშირებით, ასევე მეტრო სადგურ „გოცირიძის" და „ვარკეთილის" რეაბილიტაციის შესახებ.

ზურაბ ჩიკვილაძემ- სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების, კერძოდ,კიბოს სკრინინგისა და გაფანტული სკლეროზის მკურნალობის პროგრამასთან დაკავშირებით და როგორც ჩუღურეთის რაიონის მაჟორიტარმა შეკითხვა დასვა მეტრო „მარჯანიშვილის" მიმდებარე ტერიტორიაზე უკანონო გარე ვაჭრობის ფაქტების აღკვეთის შესახებ.

კახაბერ ლაბუჩიძემ- არსებული და ახალი ბიბლიოთეკებისა და მედიათეკების რეაბილიტაცია-მშენებლობის,ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობის, მუზეუმების, ბიბლიოთეკების და მედიათეკების თანამშრომლეთა ხელფასების გაზრდის საკითხთან დაკავშირებით.ასევე ქეთევან წამებულის გამზირის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესახებ.

გიორგი შარაშიძემ- ბიუროკრატიული რგოლებისა და პროცედურების გამარტივების შესაძლებლობების შესახებ,რაც ბიზნესს გაუმარტივებს საქმიანობას.

საბა ბუაძემ- სოციალური პოლიტიკისა და სოციალური დახმარებების, ანტიკორუფციული გეგმისა და სტრატეგიის, ასევე ლორთქიფანიძის ქუჩაზე ფერდობის ჩამოშლის მიზეზებისა და გამაგრებითი

სამუშაოების შესახებ.ასევე იასუბრა, ვაკის რაიონში ტაბიძის ქუჩა #25-ში არსებულ ტერიტორიაზე ,სატყეო ზონის გავრცელების აუცილებლობის შესახებ და აღნიშნა რომ დაახლოებით 2000 კვმ ფართობზე არსებულ გამწვანებულ სივრცეზე არ ვრცელდება შესაბამისი ფუნქციური ზონა. მიმდებარე ტერიტორიის მოსახლეობის სამართლიანი მოთხოვნით, აღნიშნული ტერიტორიის დაცვის მიზნით უკანონო მშენებლობის და ხე-ნარგავების უკანონო ჭრების ფაქტებზე მოსახლეობამ მიმართა სასამართლოს და უკვე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე.

ნიკოლოზ კახეთელიძემ- მეწყერსაშიში და ღვარცოფული ტერიტორიების შესახებ.

გიორგი ჩაკვეტაძე - დაინტერესდა 2022 წელს განსახორციელებელი მულტიფუნქციური ცენტრების სამშენებლო პროექტებით.ყურადღება გაამახვილა კოჯრის ახალგაზრდული სოფლის პროექტზე.

ლევან ჯაფარიძემ დასვა შეკითხვა, კრწანისის რაიონში გორგასლის გამზირზე სკვერის მოწყობის პროექტის, რაიონში მულტიფუნქციური ცენტრის მშენებლობის ვადებთან დაკავშირებით, ასევე ნარიყალას ციხის რეაბილიტაციის მეორე ეტაპის დაწყებასთან დაკავშირებით.

ალექსნდრე რატიშვილი- დაინტერესდა დიღმის ტყეპარკის რეაბილიტაციისა და დიღმის ჭალების საქალაქო მნიშვნელობის პარკის პროექტის განხორციელების საკითხით.მან ყურადღება გაამახვილა თბილისში არსებულ მეწყერსაშიშ ზონებსა და ამ ზონების საინჟინრო-გეოლოგიური კვლევებისა და მონიტორინგის საკითხით.

ნინო რუხაძე დაინტერესდა თბილისის შემოერთებულ ტერიტორიებზე მიწის ნაკვეთების რეგისტრაციის საკითხით.

შეკითხვებზე ამომწურავად უპასუხეს ირაკლი ხმალაძემ, ანდრია ბასილაიამ და ირაკლი ბენდელიანმა.

ირაკლი ხმალაძემ ისაუბრა საჯარო რეესტრში ფუნქციური ცვლილებების,მიწების მიტაცებისა და უკანონო მშენებლობების ,ასევე ავარიული შენობების ჩანაცვლების პროექტების ,სატრანსპორტო პოლიტიკის, მეტროპოლიტენის რეაბილიტაციისა და მუნიციპალური ტრანსპორტის შესყიდვასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

მან აღნიშნა, რომ ეკონომიკის სამინისტროს მიერ მიწის ნაკვეთების საპრივატიზებო პროცესთან დაკავშირებით უმჯობესია, ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტმა გამოიყენოს არსებული ადმინისტრაციული რესურსები და წარიმართოს ურბანული დოკუმენტების გაძლიერების მიმართულებით სამუშაოები. ასევე აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერში დატანილი იქნება ვალდებულება, მუნიციპალიტეტის თანხმობის გარეშე ფუნქციური დანიშნულების ცვლილების დაუშვებლობასთან დაკავშირებით.

ავარიული სახლების ჩანაცვლების პროგრამებთან დაკავშირებით განმარტა, რომ აღნიშნული აღსრულებული იქნება ეტაპობრივად. ამ მიმართულებით უმნიშვნელოვანესია მოსახლეობის სრული ჩართულობა და თანხმობა. ამ ეტაპზე მიმდინარეობს საპილოტე პროგრამები რაიონული მასშტაბებით.

„ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მიერ, სამუშაოების შესრულების ხარისხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ კომპანია შეზღუდულია კონკრეტული პროექტისათვის გამოყოფილი ინვესტიციის ფარგლებით. მიმდინარეობს მოლაპარაკებები, რათა მუნიციპალიტეტმა შეასრულოს კომპანიის საქმიანობები შესაბამის ობოექტზე, ხოლო გაწეულ სამუშაოებზე მიღებულ კალკულაციას ფინანსურად უზრუნველყოფს კომპანია, რაც იქნება მუნიციპალიტეტის მიერ რესურსის სხვა მიმართულებით გამოყენების შანსი.

სატრანსპორტო პოლიტიკასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ შესრულებული იქნება დამტკიცებული პოლიტიკის დოკუმენტებით დაგეგმილი ვალდებულებები, რაც შეეხება მეტრო გოცირიძის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებს, აღნიშნული დასრულდება მომავალ წელს.
გარდა ამისა აღინიშნა, რომ მიმდინარეობს მოლაპარაკებები ელიავას ბაზრობის მესაკუთრეებთან, რათა დაკმაყოფილდეს მათი ინტერესები და დაიწყოს ტერიტორიის რეაბილიტაცია. რაც შეეხება კორუფციულ ფაქტებს, სამწუხაროდ არის აღნიშნული, თუმცა მუნიციპალიტეტის და სამართალდამცავი ორგანოების მიერ ყოველი გამოვლენილი შემთხვევა იქნება დასჯადი კანონმდებლობით დადგენილი წესით.
ინფრასტრუქტურული პროექტების, მეწყერსაშიში ზონების და სარეაბილიტაციო ღონისძიებების თაობაზე დასმულ შეკითხვებზე განმარტა ირაკლი ბენდელიანმა.
მან განმარტა, რომ მეწყერულ ზონასთან დაკავშირებით , მიმდინარე ტერიტორიიდან მოსახლეობა იქნა გამოყვანილი და დაჯარიმდა კონტრაქტოტი კომპანია.მიმდინარეობს გამაგრებითი ღონისძიებები, რაც საჭიროებს რამდენიმეთვიან სამუშაოებს, ხოლო ფერდის გამაგრებისა და უსაფრთხოების საკითხთან დაკავშირებით უფლებამოსილი დაწესებულებების მიერ გაცემული დასკვნების შემდგომ მოსახლეობა დაბრუნდება საცხოვრებელ სახლებში.
რაც შეეხება ინფრასტრუქტურულ პროექტებს, კერძოდ მანჯგალაძის ქუჩის რეაბილიტაციას, აღნიშნული საჭიროებს ასფალტის კაპიტალურ ჩანაცვლებას, გარე განათების ქსელის მოწყობას და არის ხელისშემშლელი ფაქტორები-მიწისქვეშა კომუნიკაციების სიძველე, გარდა ამისა მოსახლეობისთვის მიუღებელია კონტრაქტორი კომპანიის მიერ სამუშაოების ღამით წარმართვა.
ანდრია ბასილაიას განმარტებით, მომავალი საბიუჯეტო წელი სხვადასხვა ღონისძიებებთან ერთად, დაეთმობა არსებული ბიბლიოთეკების რეაბილიტაციასაც.
რაც შეეხება მულტიფუნქიურ ცენტრებს, არის დაპირება, რომ განლაგებული იყოს დედაქალაქის ათივე რაიონში და ამეტაპისთვის მშენებლობა მიმდინარეობს სამგორსა და დიღომში, რომლებიც დასრულდება მომავალი წლის ბოლოს. მიმდინარეობს ფართების მოძიება ახალი ობიექტების მშენებლობისათვის. ასევე აღინიშნა, რომ დაგეგმილია თემქის ხევის პარკის რეაბილიტაცია, რაც ასევე მოიცავს საგანმანათლებლო ფუნქციური ცენტრების მოწყობის საკითხსაც.
დიღმის ტყე-პარკთან დაკავშირებით, რაც ძალიან მნიშვნელოვანია დედაქალაქისათვის, უნდა აღინიშნოს რომ ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი წარმოადგენს კერძო საკუთრებას და მიმდინარეობს მოლაპარაკებები კერძო მესაკუთრეებთან ფართების გამოსყიდვის მიზნით. რაც შეეხება დიღმის ჭალებს, პროექტი ხორციელდება აზიის განვითარების ბანკთან თანამშრომლობით და მომავალ წელს გამცხადდება ტენდერი სამშენებლო სამუშაოების შესახებ.
ლილოს ნაგავსაყრელის პრბლემასთან დაკავშირებით, აღინიშნა, რომ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში დაგეგმილია ნარჩენების ეპარაციის ღონისძიებები, რაც ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში, წარმოადგენს სახელმწიიფოს ვალდებულებას.
შკითხვებზე პასუხების მოსმენის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭსიყრაზე დასვა: „ქ,თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერი) და მერის მოადგილეების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საქალაქო სამსახურების უფროსების და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონების გამგებლების თანამდებობებზე წარდგენილი კანდიდატების დანშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ გაკარგულებოს პროექტების“ საკრებულოს სხდომაზე გატანი საკითხი.

მომხრე-6

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვეტყვიტეს:მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული „ქ,თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერი) და მერის მოადგილეების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საქალაქო სამსახურების უფროსების და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონების გამგებლების თანამდებობებზე წარდგენილი კანდიდატების დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ გაკარგულებოს პროექტების“ საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ხელაძე